

ვებგვერდი, 01/05/2013
სარეგისტრაციო კოდი
040030000.22.055.016023

**საქართველოს სპორტისა და
ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის
ბრძანება №01/270
2013 წლის 29 აპრილი ქ. თბილისი**

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს
ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის
დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და
ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 17 აგვისტოს №33
ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2010 წლის 17 აგვისტოს №33 ბრძანებით დამტკიცებული დებულების (სსმ III, 20.08.2010 წ., №101, მუხლი 1519) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 3. ცენტრის სტრუქტურული ერთეულებია:

- ა) ადმინისტრაციული განყოფილება;
- ბ) სპორტული განყოფილება“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სპორტისა და ახალგაზრდობის
საქმეთა მინისტრი

ლევან ყიფიანი